ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური
ერთიანი
ანგარიში
2023
ნდობა ქმნის შესაძლებლობებს!
SARAS.GOV.GE
REPORTAL.GE
SARAS GEORGIA
SARAS GEORGIA
@SARASGEORGIA

ჩვენს შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველი ორგანოა.

რეგულაციები, რომელსაც ჩვენ ვამკვიდრებთ, მიზნად ბიზნესის საქმიანობაში გამჭვირვალობის კულტურის შექმნას ისახავს. ბიზნესი, რომელიც არ უფრთხის გახსნილობას, უფრო სანდოა ინვესტორების, პარტნიორების, კრედიტორების, მფლობელების, მომხმარებლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

მისია

ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების გზით.

ხედვა

გამჭვირვალე გარემო ქვეყნის განვითარების წინაპირობაა

რეესტრები

ვაწარმოებთ რეესტრებს:

- აუდიტორები
- აუდიტორული ფირმები
- სერტიფიცირებული ბუღალტრები
- პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრები
- საბუღალტრო ფირმები
- განგრძობითი განათლება
- სასერტიფიკაციო პროგრამები
- საგამოცდო პროცესები



ზედამხედველობა

ვახორციელებთ:

- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს
- მოკვლევას
- AML შესაბამისობის უზრუნველყოფას



სტანდარტები

ვთარგმნით და სამოქმედოდ შემოგვაქვს:

- ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები
- აუდიტორული მომსახურების სტანდარტები

ანგარიშგების პორტალი

- ვასაჯაროებთ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს
- ვქმნით მონაცემთა ბაზებს

განათლება

- ვადგენთ პროფესიული განათლების სტანდარტებს
- უზრუნველვყოფთ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს
- ვაქვეყნებთ სახელმძღვანელოებს და კვლევებს
- ვითანხმებთ განგრძობითი განათლების პროგრამებს;
- ვაღიარებთ განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლებს

ლექსიკონი

- ვაწარმოებთ ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების ტერმინების ონლაინ ლექსიკონს
- უზრუნველვყოფთ ტერმინოლოგიის სისტემატურ განახლებას

დავით მჟელიძე

სამსახურის უფროსი

2023 წლის განსაკუთრებულ მიღწევად ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მიმაჩნია, რაც უდავოდ წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა და ღირებულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ევროინტეგრაციის გზაზე. აღსანიშნავია, რომ რეფორმა, რომელსაც სამსახური (SARAS) აღრიცხვა-ანგარიშგების, აუდიტისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ზედამხედველობის მიმართულებით ახორციელებს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილია, შესაბამისად, სამსახურის კომპეტენტური გუნდისა და მისი თითოეული წევრის დაუღალავი შრომის შედეგად, რეფორმის პროგრესი არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც პოზიტიურად შეფასდა ევროპელი კოლეგების მიერ, რამაც თავისი დადებითი როლი ითამაშა ქვეყნისთვის ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამსახური აგრძელებს აქტიურ მუშაობას ევროკავშირში არსებულ დირექტივებსა და რეგულაციებთან დინამიური აპროქსიმაციის საკითხზე, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების გზაზე. ამ კუთხით, ერთ-ერთ მიმართულებას მდგრადობის ანგარიშგების საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და ქვეყანაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა წარმოადგენს.

სამსახურის 2023 წლის მიღწევებს, მიმართულებების მიხედვით, მოცემულ ანგარიშში გაეცნობით, ქვემოთ კი რამდენიმე მნიშვნელოვან მათგანს გამოვყოფ:

აღსანიშნავია, რომ შევიმუშავეთ 2023-2026 სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც თანხვედრაშია მთავრობის სტრატეგიასთან და მასში დეტალურადაა წარმოჩენილი სამსახურის სტრატეგიული მიზნები. საქმიანობის გამჭვირვალობის, სამსახურსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის და ზოგადად, ანგარიშვალდებულების დონის გაზრდის, ასევე რეფორმისადმი ნდობის გაღრმავებისთვის სტრატეგიის დოკუმენტი საჯაროდ, სამსახურის ვებ-გვერდზე გამოვაქვეყნეთ და ვგეგმავთ მის პერიოდულ განახლებას და გასაჯაროების პრაქტიკის დანერგვას.

ბუნებრივია, ნებისმიერი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინსტიტუციური გაძლიერება, ამ კუთხით სასიხარულო ცვლილებები გვაქვს სამსახურის სტრუქტურაში. 2023 წელს შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ამოცანების შესრულებას და შექმნას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეფექტიანი სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან და ევროკავშირის დირექტივებთან. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის განვითარებისა და ევროინტეგრაციის მიმართულებით, რადგან გულისხმობს ევროკომისიის დასკვნით გათვალისწინებული 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის შესრულებას (ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება).

ისეთი ადმინისტრაციული ორგანოს სისტემაში, რომლის პირდაპირი ფუნქციაა საწარმოებისთვის დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოვლენა და აღსრულება, საქმე უნდა გვქონდეს იურისტების კოორდინირებულ და მოქნილ მუშაობასთან, წარმოქმნილი გამოწვევების ეფექტური მოგვარებისთვის. შესაბამისად, 2023 წლის ბოლოდან დავიწყეთ მოსამზადებელი საქმიანობა, იურიდიული დეპარტამენტის შექმნის თაობაზე, რომელმაც ფუნქციონირება 2024 წლიდან დაიწყო და ხელს შეუწყობს სამართლებრივ პროცესებში პირთა შემოქმედებითობას, ასევე ფუნქციების დეცენტრალიზაციას გუნდის წევრებს შორის.

ვიმედოვნებ, რომ ხსენებული სიახლე პოზიტიური ცვლილებების მომტანი იქნება სამსახურისთვის, რაც კიდევ უფრო მდგრადს გახდის მას.

ანგარიშგების მიმართულებით, 2022 წლის ანგარიშგება, რომელთა წარდგენა საწარმოებს reportal.ge-ზე 2023 წელს ევალებოდათ, 77 000-ზე მეტმა საწარმომ წარადგინა, რომელთა კანონისა და წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში განხორციელდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჯაროებული ინფორმაციის ხარისხის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, 2020 წლიდან, რისკზე დაფუძნებული მიდგომით ხორციელდება ანგარიშგებების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა.

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული აუდიტის სფეროს განვითარების პროცესში, რაც საბოლოოდ მაღალი ხარისხის აუდიტორული მომსახურების სტანდარტის მიღწევას ემსახურება. ამ მიმართულებით ხორციელდება აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრების წარმოება, განათლების სტანდარტების დანერგვა, მოკვლევა, აუდიტორული ფირმების/აუდიტორების, აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად/შესაფასებლად ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი და პერიოდულად ქვეყნდება აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელ სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებების თარგმანი ქართულ ენაზე.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის მიმართულებით სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრები, რომლის ადმინისტრირებას სამსახური ახდენს. კანონიერ ძალაში შევიდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამართლებრივი აქტები და გამოქვეყნდა სახელმძღვანელო ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის" შესახებ.

საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, წარმატებულ მაგალითად გამოვყოფდი სამსახურსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გამყარებას. თანამშრომლობის მიზანია სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ანგარიშგების საკითხებში. ასევე, საქართველოში უკეთესი მდგრადობის შესახებ ანგარიშგების განვითარება, მათ შორის ESG-ის კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად, გათვალისწინებული იქნება აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის ევროკავშირის კორპორაციული ანგარიშგების დირექტივის (CSRD) მოთხოვნები. დღემდე, IFC-თან ერთად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განვახორციელეთ. ასევე ხაზგასასმელია AAF-ის ფარგლებში ჩატარებული მისიები, რომლებიც წარმატებით ჩატარდა.

რეფორმის წარმატებით მიმდინარეობა გამჭვირვალე ბიზნესგარემოს შექმნასა და კაპიტალის ბაზრის განვითარებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ ქვეყნის განვითარების წინაპირობაა. რეფორმა, რომლისაც გვჯერა, ერთად ვქმნით, შესაბამისად, ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მხარეს, სამსახურის მთლიან გუნდს, რომელიც დაუღალავ შრომას დებს პროცესში და საბჭოს, რომელიც სამსახურს ღირებულ მხარდაჭერას უწევს, ასევე მხარდამჭერებს და დაინტერესებულ მხარეებს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, პარტნიორებსა და დონორ ორგანიზაციებს, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

2024 წელი აქტიურად დაიწყო, რაც მნიშვნელოვანია რეფორმის პროგრესისთვის. ჩვენი გუნდი მოქნილად და ეფექტურად მუშაობას აგრძელებს დასახული მიზნების შესასრულებლად, მათ შორის გამოვყოფდი მდგრადობის დირექტივის დანერგვას, სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების შესრულებას, ასევე, თანამედროვე ტენდენციების კვალდაკვალ, ტექნოლოგიური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც სამსახურის ეფექტურ მუშაობას შეუწყობს ხელს და ვიმედოვნებთ, რომ დონორი ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა კიდევ უფრო გამყარდება.

აბრევიატურათა ნუსხა

AASB
ავსტრიის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საბჭო

AML/CFT
ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ნორმებთან შესაბამისობა

CBC
ევროკავშირის შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა

CSRD
კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა

ESG
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები

EU
ევროკავშირი

FATF
ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი
FINANCIAL ACTION TASK FORCE

IFAC
ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია

IESBA Code
პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი

IFIAR
აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმი

IFRS
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

IES
განათლების საერთაშორისო სტანდარტები

IFRS Foundation
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდი

Moneyval
ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი

PAR
ევროკავშირის პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“

PCAOB
საჯარო კომპანიების აღრიცხვის ზედამხედველობის საბჭო

SARAS
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

სარჩევი

ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის მიმართულება

10 ანგარიშგების წარდგენის სტატისტიკა

11 საზოგადოების ინფორმირება

12 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) ლურჯი წიგნის 2023 წლის გამოცემა

12 წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

13 მნიშვნელოვანი ღონისძიებები

16 მნიშვნელოვანი სიახლეები

17 სამომავლო მიზნები

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის მიმართულება

20 მნიშვნელოვანი მიღწევები

21 აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრი

23 აუდიტორული მომსახურების ბაზრის დაზღვევა

24 ზედამხედველობის შედეგები

25 მონიტორინგის ფარგლები სტატისტიკა

25 სტატისტიკა სტანდარტების და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები

26 აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის ფაქტები

26 მონიტორინგის შედეგები

27 საწყისი და განგრძობითი პროფესიული განათლება

28 აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტები და ეთიკის კოდექსი

28 აუდიტის კომიტეტები

29 მნიშვნელოვანი ღონისძიებები

30 თანამშრომლობა

31 სამომავლო მიზნები

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის მიმართულება

35 მნიშვნელოვანი მიღწევები

36 სამართლებრივი აქტები

36 მნიშვნელოვანი ღონისძიებები

37 მნიშვნელოვანი პროექტები

38 სამომავლო მიზნები

სამსახურის აპარატი

40 ჩვენი რესურსები

41 საზოგადოებასთან ურთიერთობა

42 სამსახურის სტრუქტურა

საბჭო

44 საბჭო

45 დავების განხილვა

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის მიმართულება

ლელა ხუჭუა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

2023 წელი გამორჩეულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული შედეგით, რაც კანდიდატის სტატუსის მონიჭებით გამოიხატა. ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს შორის გამოვარჩევდი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმას, რომელიც წარმატებით ხორციელდება, როგორც ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას ევროკავშირში არსებულ დირექტივებსა და რეგულაციებთან დინამიური აპროქსიმაციის საკითხზე, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების გზაზე. ამ კუთხით, ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს მდგრადობის ანგარიშგების საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება, მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტის თარგმნა და ქვეყანაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, რაც მომდევნო წლის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ანგარიშგების დეპარტამენტს ღირებული წვლილი შეაქვს რეფორმის მიმდინარეობისას, რაც ასახულია შედეგებში. დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში შეიქმნა საქართველოში პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსი, ანგარიშგების პორტალი, რომელიც საწარმოების ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს მოიცავს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 2023 წელს 77 ათასზე მეტმა საწარმომ წარადგინა თავისი წლიური ანგარიშგება. წარდგენის მაჩვენებლის შენარჩუნება და გაზრდა რეპორტალის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი წინაპირობაა, რაც დადებითად აისახება საწარმოებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდაზე, კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე, კრედიტორთა და დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაცვაზე.

წარდგენილი ანგარიშგების ხარისხის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განვახორციელეთ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა 51 ანგარიშგებაზე. აღნიშნული პროცესის ფარგლებში შევიმუშავეთ და გამოვაქვეყნეთ გამოვლენილი შეუსაბამობების და მომდევნო წლის პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების ხელშეწყობის მიზნით ქართულ ენაზე ვთარგმნეთ და სამოქმედოდ შემოვიღეთ განახლებული ფასს სტანდარტები და მსს ფასს სტანდარტი.

ტრადიციისამებრ, ცნობიერების ამაღლების მიზნით, საწარმოებისთვის, საქართველოს მასშტაბით, ღონისძიებები გავმართეთ, რომელთა შესახებ შემაჯამებელ ინფორმაციას წინამდებარე ანგარიშში გაეცნობით. აქვე, მინდა აღვნიშნო, მხარდამჭერების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებების, პროფესიული და ბიზნეს საზოგადოებების ღირებული წვლილის შესახებ, რომლებიც მათ რეფორმის წარმატებით განხორციელებაში შეიტანეს. იმედი მაქვს, მათი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდება და გამყარდება.

რაც ყველაზე მთავარია, მადლობა ანგარიშგების დეპარტამენტის გუნდს, გამწევ ძალას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ღირსეულად გავუმკლავდეთ ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებს. ჩვენი გუნდი გააგრძელებს მოქნილ და ეფექტურ საქმიანობას, დასახული მიზნების შესასრულებლად.

ანგარიშგების ზედამხედველობა იუსტიციის სამინისტროს

- სამსახური უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თარგმნას და სამოქმედოდ შემოღებას;
- სამსახური ასაჯაროებს ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს ანგარიშგების პორტალზე, reportal.ge;
- სამსახური ყოველწლიურად ქმნის მონაცემთა ბაზებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეებს;
- სამსახური ახორციელებს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვას ანგარიშგებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- სამსახური ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით საწარმოებისთვის ატარებს ღონისძიებებს.

ანგარიშგების წარდგენის სტატისტიკა



2022 წელს წელს ანგარიშგების წარდგენა ევალებოდა სდპ, I, II , III და IV კატეგორიის 99,000-მდე სუბიექტს. წარდგენის მაჩვენებელმა სდპ, I, II, III კატეგორიებისთვის - 95% , ხოლო IV კატეგორიის საწარმოების გათვალისწინებით 80% შეადგინა.



2023 წელს ანგარიშგების წარდგენა ევალებოდა სდპ, I, II , III და IV კატეგორიის 108,000-მდე სუბიექტს. წარდგენის მაჩვენებელმა სდპ, I, II, III კატეგორიებისთვის - 93%, ხოლო IV კატეგორიის საწარმოების გათვალისწინებით 72% შეადგინა.

*2023 წელს საწარმოები წარადგენენ 2022 წლის ანაგრიშგებას.

სუბიექტები ვალდებულნი არიან ანგარიშგებები წარადგინონ მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა. ანგარიშგებების დროულობა უაღრესად მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდისთვის, განსაკუთრებით კი ფინანსური ინსტიტუტებისთვის. იმისათვის, რომ გასაჯაროებული ანგარიშგებები მეტი სარგებლის მომტანი იყოს მათი მომხმარებლისთვის, სამსახური, რიგი ღონისძიებების საშუალებით, გეგმავს წაახალისოს ანგარიშგების ადრეული წარდგენა და ასევე ნახევარწლიური ანგარიშგებების ნებაყოფლობითი წარდგენა.

2023 წლის განმავლობაში ანგარიშგების ციფრულ პორტალზე, reportal.ge, 77 ათასზე მეტმა საწარმომ წარადგინა ანგარიშგება, რომელთა კანონისა **და** წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში განხორციელდა.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგებების ციფრული ბაზა, 2023 წლის განმავლობაში, 46-მდე დაინტერესებულ მხარეს მიეწოდა.

საზოგადოების ინფორმირება

ანგარიშგების სფეროს გაძლიერებისა და წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ზრდის მიზნით, SARAS - ი ღიაა უკუკავშირის მისაღებად დაინტერესებული მხარეებისგან. სამსახური საკომუნიკაციო არხების მეშვეობით მნიშვნელოვან ინფორმაციას რეგულარულად ავრცელებს.

შემუშავდა და სამსახურის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში განთავსდა სამსახურსა და სუბიექტს შორის კომუნიკაციის ეტაპებისა და საინფორმაციო პლატფორმების შესახებ ინსტრუქცია.

საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს მასშტაბით მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოებისთვის

ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების ინფორმირების, მათთვის ანგარიშგების წარდგენის პროცესის გამარტივებისა და წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურმა მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოებისთვის, ღონისძიებები საქართველოს მასშტაბით გამართა.

სამსახურმა შეხვედრები ჩაატარა გამოკითხვის შედეგად წინასწარ შერჩეულ ქალაქებში:

- **ზუგდიდი**
- **ბათუმი**
- **თბილისი**
- **ფოთი**
- **ქუთაისი**
- **თელავი**

ღონისძიებებს მთლიანობაში, 750-ზე მეტი დაინტერესებული პირი დაესწრო, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და დამსწრეების მზარდ ინტერესსა და შეხვედრების ხარისხზე მიუთითებს.
ღონისძიების ფარგლებში ბუღალტრებს უსასყიდლოდ გადაეცათ მე-4 კატეგორიის საწარმოთა თვითსწავლების სახელმძღვანელო.

სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობის მიღება

სამსახურის წარმომადგენლებმა ტრადიციული მედიის მეშვეობით, სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემების ფორმატში ისაუბრეს ანგარიშგების წარდგენის მნიშვნელობასა და ანგარიშგების წარდგენის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) ლურჯი წიგნის 2023 წლის გამოცემა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად, სამოქმედოდ იქნა შემოღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) ლურჯი წიგნის 2023 წლის გამოცემა. ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, საქართველო პირველია იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც თარგმნეს და სამოქმედოდ შემოიღეს ლურჯი წიგნის 2023 წლის გამოცემა.

წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

გასაჯაროებული ინფორმაციის ხარისხის ზრდის ხელშეწყობის მიზნით რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე, სამსახურმა 2020 წლიდან დაიწყო წარმოდგენილი ანგარიშგებების შინაარსობრივი განხილვა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ამ პროცესში, 2023 წელს განხორციელდა 51 ანგარიშგების დეტალური შემოწმება ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, საიდანაც 30 სუბიექტთან გაიგზავნა საბოლოო სარეკომენდაციო წერილი, 7 სუბიექტთან არ გამოვლინდა ფასს სტანდარტებთან შეუსაბამობა, ხოლო დანარჩენ 14 კომპანიასთან შემოწმება განხილვის პროცესშია. ბუნებრივია, სამსახური მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებლების ზრდას გეგმავს.

წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საწარმოებისთვის შემუშავდა საყურადღებო დოკუმენტები: „2021 და 2022 წლების ანგარიშგებების განხილვის პრიორიტეტები" და „ფინანსური ანგარიშგებების

განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების“ რიგით მესამე დოკუმენტი. დოკუმენტები მომზადებულია ანგარიშვალდებული სუბიექტების, მათი მომსახურე აუდიტორების, მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოებისა და ანგარიშგებებით დაინტერესებული პირების საყურადღებოდ.

სამსახური, ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით, ყოველწლიურად განიხილავს საწარმოთა მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს. დოკუმენტებში ხაზგასმულია ის პრიორიტეტები და მიდგომები, რომლებსაც სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 2021 და 2022 წლების ანგარიშგებების განხილვის დროს, ასევე ასახულია სამსახურის მიერ 2022 წელს შერჩეული 2020-2021 წლების პერიოდში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობები.
სამსახურის ხედვით, აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება ხელს შეუწყობს წარდგენილი ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის ამაღლებას.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები

კონფერენცია თემაზე: „გზა ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგებისკენ“

სამსახურის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, თემაზე: „გზა ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგებისკენ“. ღონისძიება მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშების მნიშვნელობის შესახებ და ამ სფეროში შესაბამისი პროფესიული განათლების აუცილებლობის ხაზგასმას. კონფერენციის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლებმა პრეზენტაციები წარადგინეს და ისაუბრეს გასული წლების მანძილზე წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოვლენილ ხარვეზებზე. აღნიშნული ინფორმაცია ხელს შეუწყობს კომპანიებს უკეთ დაგეგმონ და გააუმჯობესონ ფინანსური ანგარიშგების ზოგადი ხარისხი.

„ფინანსური ბიზნეს ფორუმი 2023"

ღონისძიება ფინანსური სექტორისა და ბიზნესის წარმომადგენლებს აერთიანებს და აკავშირებს. მისი მიზანი სფეროში მიმდინარე სიახლეების გაცნობაა. ღონისძიებას სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ და დამსწრეებს ისეთ საკითხებზე მიაწოდეს ინფორმაცია, როგორიცაა ანგარიშგების წარდგენის პროცესი და წარდგენის პროცესში ხშირად დაშვებული შეცდომები.

საინფორმაციო შეხვედრა ბუღალტრებისთვის

ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურმა მონაწილეობა მიიღო „ბუღალტერთა კლუბი ფორუმის“ მიერ ორგანიზებულ ბუღალტრებისთვის განკუთვნილ საინფორმაციო სახის დისტანციურ შეხვედრაში, სადაც სამსახურის წარმომადგენელმა ისაუბრა ანგარიშგების წარდგენისთვის აქტუალურ საკითხებზე.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის სხდომა

შეხვედრის ფარგლებში განსახილველ საკითხებს წარმოადგენდა: „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“. სხდომის მიზანი იყო ზემოაღნიშნულ სფეროებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასება.

ფინანსური ჩართულობისა და საწარმოთა ფინანსური გამჭვირვალობის პროექტის დახურვის ღონისძიება

სამსახურმა საქართველოში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ფინანსური ჩართულობისა და საწარმოთა ფინანსური გამჭვირვალობის პროექტის დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

პროექტმა, თავისი მოქმედების პერიოდში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ადგილობრივი რეგულაციების ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, გააუმჯობესა ფინანსური ინფრასტრუქტურა და პასუხისმგებლიანი ფინანსური ჩართულობა, ასევე წაახალისა კორპორაციული

და სახელმწიფო საწარმოების უკეთესი მართვა და ანგარიშგება.

რიგით მეშვიდე ყოველწლიური ღონისძიება: "ფასს სტანდარტები, ფასს სტანდარტი და მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტები"

სამსახურმა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდთან (IFRS Foundation) თანამშრომლობით, ყოველწლიური ღონისძიება წელს მეშვიდედ გამართა. შეხვედრის თემას წარმოადგენდა: ფასს სტანდარტები, ფასს სტანდარტების განახლებები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტები.

ყოველწლიური ღონისძიების მიზანია საწარმოთა დროული და სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდება დარგში არსებულ სიახლეებთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მათ დაეხმარებათ ანგარიშგების ხარისხის ზრდაში.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა (IFC) და სამსახურს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რომლის, მიზანია საქართველოში უკეთესი მდგრადობის შესახებ ანგარიშგების განვითარება, მათ შორის ESG-ის კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული იქნება აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის ევროკავშირის კორპორაციული ანგარიშგების დირექტივის (CSRD) მოთხოვნები. ხელშეკრულების ფარგლებში მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებზე სამსახურის თანამშრომლებთან და საწარმოების წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ანგარიშგების საკითხებში. ასევე, შეხვედრაზე გაანალიზებული იქნა მდგრადობის ანგარიშგების არსი - სტრატეგია, რისკი და შესრულება საწარმოთა პერსპექტივით.

თანამშრომლობის ფარგლებში განახლდება სამსახურის მიერ შემუშავებული მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო, რაშიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), რათა დოკუმენტში აისახოს დასავლური პრაქტიკა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სამსახურს რიგ საკითხებზე ექსპერტული მხარდაჭერა გაეწია

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა II“ პროექტის ფარგლებში, შედგა შეხვედრები სამსახურის თანამშრომლებსა და დარგის საერთაშორისო ექსპერტებს შორის შემდეგ თემებზე: Country-By-Country Reporting მოთხოვნების დანერგვის, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის იმპლემენტაციისა და ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის პროცესის გაუმჯობესების, ცნობიერების ამაღლებისა და შემდგომი საჭიროებების ინიცირების საკითხებზე.

აღნიშნული შეხვედრების შედეგად, მოხდა თემატურად დაკავშირებული ქართული კანონმდებლობის გაანალიზება და სამსახურის თანამშრომლები გაეცნენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ახალი მოთხოვნების დანერგვისა და ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მოკვლევის კუთხით. აქტივობის ფარგლებში, ასევე შემუშავდა რეკომენდაციები და პროცესების სამომავლო ინიცირებისთვის საჭირო სახელმძღვანელო დოკუმენტები.

მნიშვნელოვანი სიახლეები:

ევროკავშირმა კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების ახალი მოთხოვნები დაამტკიცა.

2022 წელს, ევროკომისიამ კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD) შეიმუშავა, რომელიც 2023 წლის 5 იანვრიდან შევიდა ძალაში ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის.

აღნიშნულმა დირექტივამ აქამდე არსებული არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა ჩაანაცვლა. საწარმოებისთვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მომზადება, შესაბამისი სტანდარტის გამოყენებით, საქართველოში ამოქმედდება 2027 წლიდან, 2026 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში. დინამიური აპროქსიმაციის ფარგლებში, სამსახური გეგმავს ამ მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას, კერძოდ, გეგმავს მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების თარგმნას და სამოქმედოდ შემოღებას. ასევე, დაინტერესებული მხარეებისა და ანგარიშვალდებული საწარმოების ცნობიერების ამაღლებას, პროფესიული წრეებისთვის განგრძობითი განათლებისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფას.

ახალი მარეგულირებელი ჩარჩო დაეხმარება ინვესტორებს, სამოქალაქო საზოგადოებას, მომხმარებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, შეაფასონ კომპანიის მდგრადი განვითარების პოტენციალი და მიმდინარე მაჩვენებლები.

იმისათვის, რომ საქართველომ ფეხი აუწყოს ევროკავშირის მოთხოვნებს, სამსახური გეგმავს მარეგულირებელ დირექტივებსა და რეგულაციაში შესული ცვლილების ასახვას კანონმდებლობაში.

სამომავლო მიზნები

ანგარიშგებების წარდგენის მაჩვენებლის შენარჩუნება/გაზრდა;

ანგარიშგების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა:

- განხილული ანგარიშგებების საშუალო წლიური მაჩვენებლის ზრდა ფასს სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მიმოხილვის პროცესში გამოვლენილ შეუსაბამობებთან მიმართებით;
- საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით დაგეგმილი სიახლეების მიწოდება საზოგადოებისთვის;
- ფასს სტანდარტების თარგმნა და სამოქმედოდ შემოღება;
- მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტის თარგმნა;
- ანგარიშგების სრული გაციფრულება | XBRL სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებული პროგრესი.

ერთი ფანჯრის პრინციპი/ქვეყნის ანგარიშგების რუკის მომზადების პროექტზე აქტიური სამუშაოების დაწყება;

2013/34/EU დირექტივაში შესული ცვლილებების დანერგვისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება;

ანგარიშგებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის, ხარვეზების აღმოფხვრისა და პასუხისმგებლობის დაკისრების წესის შემუშავება.

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის მიმართულება

თორნიკე ძაგნიძე

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

აუდიტის პროფესია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს განვითარებაში. სწორედ, მაღალი ხარისხის აუდიტორული მომსახურების შედეგად გაცემული რწმუნება ხდის ფინანსურ ანგარიშგებას სანდოს და მიმზიდველს ინვესტირებისათვის. ხარისხიანი აუდიტორული მომსახურება გამჭვირვალე და სანდო ბიზნესგარემოს ერთ-ერთი საფუძველია. მისი დამსახურებით, ინვესტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები სარგებლობენ სანდო ანგარიშგებებით, რაც სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას ამარტივებს და ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს.

ბოლო ათეული წლებია მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო 2016 წლიდან საქართველოშიც აუდიტის ხარისხის ზედამხედველობა სახელმწიფოს კანონიერი მიზანი გახდა, რაც საზოგადოების/ინვესტორთა უფლებების დაცვას ემსახურება. აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი მასზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში აწარმოებს აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრებს, თარგმნის და სამოქმედოდ შემოაქვს აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტები შესაბამის ცვლილებებთან ერთად, ახორციელებს აუდიტორული ფირმების/აუდიტორების ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების და გამოვლენის მიზნით დაიწყო მოკვლევის პრაქტიკა, ადგენს პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტებს, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც საბოლოოდ ემსახურება აუდიტორული მომსახურების მაღალი სტანდარტის დანერგვას და საზოგადოების ინტერესების დაცვას.

რეფორმის ეფექტიანად განხორციელების პროცესში სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პროფესიის წარმომადგენლებთან. ასევე მართავს სამუშაო შეხვედრებს აუდიტის კომიტეტებთან და სამეთვალყურეო საბჭოების წევრებთან სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც, ვფიქრობთ, დადებითად აისახება პროფესიის ნდობის ზრდასა და განვითარებაზე.

სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტის ხარისხის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე ვლინდება, რომ მიუხედავად პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების (აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკის კოდექსი, ხარისხის მართვის სტანდარტი) და პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებული ტრენინგების ხელმისაწვდომობისა, აუდიტის სფეროში პროფესიული კომპეტენციის ამაღლება და მუდმივი განვითარება კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. სწორედ ამიტომ, სამსახურის მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიის უწყვეტ განვითარებას, რათა დამკვიდრდეს აუდიტის მომსახურების მაღალი ხარისხი.

მნიშვნელოვანი მიღწევები:

რეესტრები

ქვეყანაში აუდიტის ხარისხის ზრდის ხელშესაწყობად SARAS-ი აწარმოებს სხვადასხვა რეესტრებს: აუდიტორების, აუდიტორული ფირმების, სერტიფიცირებული ბუღალტრების და ა.შ. სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიან რეესტრში ასახულია ინფორმაცია საქართველოში მოქმედი პროფესიული ორგანიზაციის წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრების შესახებ. SARAS-ი ყოველწლიურად აქვეყნებს რეესტრების სტატისტიკას, რაც სფეროში ცვლილებებისა და პროგრესის დაკვირვების საშუალებას იძლევა.



აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრი

2016 წლიდან სამსახური აწარმოებს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის უფლებამოსილების მქონე აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ერთიან სახელმწიფო რეესტრს. ეს არის სანდო საინფორმაციო რესურსი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირის შესახებ, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული მომსახურების განხორციელება შეუძლიათ. რეესტრის მეშვეობით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების მიღების მიზნით, ინვესტორები, საწარმოების ხელმძღვანელები, საწარმოების აუდიტის კომიტეტები და სხვა დაინტერესებული მხარეები აუდიტორების/აუდიტორული ფირმების შესახებ დეტალურ ინფორმაციას იღებენ.

აუდიტორული ფირმები



აუდიტორები

აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების ბაზრის მოცულობა (ათას ლარებში)



● აუდიტორული მომსახურებიდან
● სრული შემოსავლები

აუდიტორული და პროფესიული მომსახურებების ბაზარზე დასაქმებული პერსონალი



● აუდიტორული მომსახურების პერსონალი
● პერსონალი სრულად

აუდიტორული მომსახურების ბაზრის დაზღვევა

ზედამხედველობის შედეგები

რეფორმის ფარგლებში აუდიტის სფეროს ზედამხედველობა SARAS-მა 2016 წლიდან დაიწყო. სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სამსახურის ზედამხედველობა პოზიტიურად აისახა აუდიტის სფეროზე.

გთავაზობთ 2016 და 2023 წლების შედარებით მონაცემებს:

2016 - 2023



ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი

აუდიტორული ფირმების/აუდიტორების აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება სრულად ან თემატურად. მონიტორინგი შეიძლება დაიწყოს როგორც SARAS-ის ინიციატივით, ასევე ინდივიდუალური აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის შესაბამისი მომართვის საფუძველზე. სამსახური ყოველწლიურად აუდიტორული ფირმების, აუდიტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ, ვებგვერდზე ათავსებს ინფორმაციას ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ძირითადი ასპექტების შესახებ, სადაც მოცემულია მონიტორინგის სახეები, ვადები, მონიტორინგის დაწყების ინდიკატორები და მონიტორინგის პროცესები. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგების სტატისტიკას.

ხმსს 1 სტანდარტის დარღვევის ფაქტები 2023 წელი

01 ზოგადი ნაწილი

09 ეთიკური მოთხოვნები

24 შრომითი რესურსები

49 მონიტორინგი

31 გარიგების შესრულება

53 დამკვეთის აყვანა

35 ხარისხზე პასუხისმგებლობა

მონიტორინგის ფარგლები სტატისტიკა

32 აუდიტორული ფირმები

03 ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორები

2022 წელს დაწყებული სრული/თემატური მონიტორინგები

44 აუდიტორული ფირმები

32 ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორები

2022 წელს დაწყებული „კატეგორიის გარეშე" სტატუსის მქონე

40 აუდიტორული ფირმები

08 ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორები

2023 წელს დასრულებული სრული/თემატური მონიტორინგები

35 აუდიტორული ფირმები

38 ინდივიდუალურად საქმიანობის განმახორციელებელი აუდიტორები

2023 წელს დასრულებული „კატეგორიის გარეშე" სტატუსის მქონე

სტატისტიკა სტანდარტების და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები





გამოვლენილი ფაქტების მნიშვნელოვნება და სისტემურობა

- V კატეგორია
- IV კატეგორია
- II კატეგორია
- შეწყვეტა
- დასრულდა თემატური
- I კატეგორია
- III კატეგორია

კატეგორიის გარეშე - 73

საწყისი და განგრძობითი პროფესიული განათლება

საქართველოში აუდიტორული მომსახურების მაღალი ხარისხის მიღწევა SARAS-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. ამ მიზნის მისაღწევად პროფესიული სერტიფიცირების და განგრძობითი განათლების სტანდარტები დადგინდა, რომლებიც ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES) შეესაბამება. ხარისხის შესანარჩუნებლად, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, SARAS-ი ყოველწლიურად აღიარებს პროფესიული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ განგრძობითი განათლების პროგრამებს.

სერტიფიცირების სტატისტიკა:



აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევა

2023 წლიდან ამოქმედდა „აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარების წესი". წესის ამოქმედება საქართველოში აუდიტორული საქმიანობის სფეროს სანდოობისა და ხარისხის ზრდას ემსახურება, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების და გამოვლენის გზით.

მოკვლევის მიზანია, რომ შემოწმდეს აუდიტორული ფირმის საქმიანობა, თუ რამდენად არის აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები შესრულებული და ასევე, მოკვლევის შედეგად წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის/სხვა მტკიცებულების საფუძველზე სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სამსახური იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორული ფირმისთვის/აუდიტორისთვის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.



2023 წელს დასრულდა მოკვლევის პროცესი



2023 წელს დაიწყო 2 მოკვლევის პროცესი, რომელიც დასრულდება 2024 წელს

აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტები და ეთიკის კოდექსი

მიმდინარე ეტაპზე სამოქმედოდ შემოღებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით (2021 წლის გამოცემა) გათვალისწინებული ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი და აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები.

ასევე სამოქმედოდ იქნა შემოღებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) 2022 წლის გამოცემა.

ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები SARAS-ის ვებგვერდზე განთავსდა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

IAASB-მა ნაკლებად რთული საწარმოებისთვის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტზე მუშაობა დაასრულა. ეს არის დამოუკიდებელი სტანდარტი, რომელიც ეფუძნება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, ხაზს უსვამს მცირე ბიზნესის მნიშვნელობას და მორგებულია ნაკლებად რთული საწარმოების აუდიტის სპეციალურ საჭიროებებზე. მისი არსებობა ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგებისადმი ნდობის შენარჩუნებას და აუდიტის სტანდარტების თანმიმდევრულად გამოყენებას ნაკლებად რთული საწარმოების აუდიტის პროცესში. ნაკლებად რთული საწარმოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია 2025 წლის 15 დეკემბერს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდების აუდიტისთვის. სამსახური, თავის მხრივ, მზად არის წარმართოს შემდგომი სამართლებრივი პროცესები ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტის ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს მათი ამოქმედება 2025 წლის 15 დეკემბერს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდების აუდიტისთვის.

აუდიტის კომიტეტები

აუდიტის კომიტეტების ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის, SARAS-ი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებას ახორციელებს. 2023 წელს სამსახურმა გამართა შეხვედრა აუდიტის კომიტეტებისა და სამეთვალყურეო საბჭოების წევრებთან. აუდიტის კომიტეტებისა და სამეთვალყურეო საბჭოების წევრებისთვის გამართული ყოველწლიური ღონისძიების ჩატარებით, სამსახური მიზნად ისახავს აუდიტის კომიტეტების ეფექტური ფუნქციონირებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას და მათთვის ეფექტური რჩევების მიწოდებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რაც მათ დაეხმარებათ უკეთესად განახორციელონ გარე და ასევე შიდა აუდიტორის საქმიანობის ზედამხედველობა.
შეხვედრაზე საქართველოში აუდიტის კომიტეტების განვითარების მიზნებისთვის სარეკომენდაციო საკითხები იქნა განხილული. შეხვედრის ფარგლებში აუდიტის კომიტეტებისა და სამეთვალყურეო საბჭოების წევრებს ინფორმაცია მიეწოდა ისეთ თემებზე, როგორიცაა მდგრადობის ანგარიშგება და აუდიტის კომიტეტების გაზრდილი როლი, აუდიტის კომიტეტის მიერ შიდა აუდიტის შეფასება, მონიტორინგის შედეგად აუდიტორთა შეფასების

ახალი სისტემა, აუდიტის რეგულატორებისა და აუდიტის კომიტეტების ურთიერთობის საერთაშორისო პრაქტიკა. ასევე, საინიციატივო ჯგუფის მხრიდან, დამსწრე საზოგადოებისათვის წარდგენილ იქნა აუდიტის კომიტეტების წევრთა ასოციაციის შექმნის ინიციატივა, აღნიშნულ ასოციაციაში გაწევრიანების საჭიროებები და წევრობისგან მოსალოდნელი სარგებელი.
სამსახური პარტნიორებთან ერთად აქტიურად განაგრძობს მუშაობას აუდიტის კომიტეტების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები

სამსახურმა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორებისთვის ონლაინ ღონისძიება გამართა, თემაზე: „აუდიტის სფეროს განვითარების გრძელვადიანი ხედვა".

ღონისძიება სამსახურის საქმიანობის სფეროში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების მიმოხილვას დაეთმო, როგორიცაა ხარისხობრივი კატეგორიები, დაგეგმილი ნორმატიული ცვლილებები, სახელმძღვანელოები და სხვა. შეხვედრაზე პანელური დისკუსიაც გაიმართა თემაზე: მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ფაქტები და ძირითადი გამოწვევები.

IFIAR-ის აუდიტის ინსპექტირების მეჩვიდმეტე სემინარი

ინდონეზიაში, აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) აუდიტის ინსპექტირების რიგით მეჩვიდმეტე სემინარს სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად საქართველოს სახელით SARAS-ის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ყოველწლიური ღონისძიების მთავარი მიზანი აუდიტის ინსპექტირების ძლიერი და მდგრადი მოდელის ჩამოყალიბებაა აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებისთვის და ინვესტორების დაცულობის უზრუნველსაყოფად.

შეხვედრა ბიზნესასოციაციებთან

შეხვედრა აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხობრივი კატეგორიების სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების გაზიარებას ისახავდა მიზნად, რათა დამსწრეებს სამსახურისთვის შესაბამისი კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

IFIAR-ისა და PCAOB-ის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური პლენარული სხდომა

სამსახურის წარმომადგენლები IFIAR-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისთვის გამართულ ყოველწლიურ პლენარულ სხდომას ესწრებოდნენ. ღონისძიების მიზანია ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები, აუდიტის პროფესიაში არსებული გამოწვევები და აუდიტის მდგრადი ხარისხის მისაღწევად საჭირო სტრატეგიული მიდგომები იქნას მიმოხილული.

სამსახურს, აღსრულებისა და მოკვლევის საკითხებზე, ექსპერტული მხარდაჭერა გაეწია

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა II" პროექტის ფარგლებში, სამსახურის თანამშრომლებს დარგის საერთაშორისო ექსპერტის, ტომას ჰანსენის (Thomas Hansen) მხრიდან, ექსპერტული დახმარება გაეწია.

თანამშრომლობა

ევროკავშირის შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა (CBC)

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა (CBC) 2007 წლიდან ხორციელდება და საქართველოდან მრავალ ბენეფიციარს აძლევს რეგიონულ პროექტებში მონაწილეობის საშუალებას. პროგრამა მიზნად ისახავს შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმის მდგრადი განვითარება, კულტურა, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და ა.შ. პროგრამის ახალი ეტაპი, სხვა მიზნებთან ერთად, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩართულობით, რეგიონის გარემოს დაცვითი მონიტორინგის განხორციელებას ემსახურება.

საქართველოს მხრიდან, პროგრამაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, SARAS-ი მონაწილეობს. SARAS-ი პროგრამაში ჩართულია, როგორ პროგრამის ცალკეული ასპექტის განხილვისა და ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების მიმართულებებში, ასევე პროგრამის მმართველი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ბენეფიციარების ადგილზე შემოწმების პროცესზე დასწრებისა და დახმარების კუთხით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარები, პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების დადასტურებისთვის, SARAS-ის რეესტრებში არსებული, გარკვეული კატეგორიის აუდიტორული ფირმების მომსახურებით სარგებლობენ.

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან თანამშრომლობა

სამსახურსა და საჯარო აუდიტის ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანი აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა, რაც ერთმანეთთან კონსულტაციებსა და ურთიერთდახმარების სხვა მეთოდებს მოიაზრებს, როგორიცაა საერთო მიდგომებისა და გეგმის შემუშავება, ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებაში და ა.შ.

სამომავლო მიზნები

აუდიტის ხარისხის ინდიკატორების გამჟღავნების პრაქტიკის შემოღება:

განხორციელებული ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, სამსახური გეგმავს სდპ აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორული ფირმების მხრიდან რელევანტური აუდიტის ხარისხის ინდიკატორების გამჟღავნების პრაქტიკის შემოღებას, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე აუდიტის ხარისხის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას და კონკურენციის ზრდას.
ასევე, სამსახური გეგმავს სდპ და არა-სდპ (მესამე კატეგორია) აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორული ფირმების მონიტორინგის შედეგად ხარისხის მართვის სისტემაში გამოვლენილი ნაკლოვანებების რემედიაციის პროცესის ხელშეწყობას, რაც დადებითად აისახება აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ფირმების შეფასების არსებული სისტემის შეცვლა და გამარტივება:

გამარტივებული შეფასების სისტემა ერთი მხრივ ხელს შეუწყობს არასათანადო ხარისხის აუდიტის პრაქტიკის აღმოფხვრას, მეორე მხრივ კი წაახალისებს ფირმებს შორის ჯანსაღ კონკურენციას. განახლებული შეფასების სისტემით პირველი და მეორე ხარისხობრივი კატეგორიები გაერთიანდება ერთ, ,,სდპ აუდიტის უფლებამოსილების მქონე" ჯგუფში, თუმცა, სდპ აუდიტის უფლებამოსილების მოპოვება/შენარჩუნებისთვის საჭირო მინიმალური ხარისხობრივი მოთხოვნა იზრდება. ახალი შეფასების სისტემით აგრეთვე გაერთიანდება მე-3 და მე-4 ხარისხობრივი კატეგორიები ე.წ. „სავალდებულო აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების მქონე" (გარდა სდპ-ის) ჯგუფში. ამ ჯგუფშიც ხარისხობრივი მოთხოვნები იქნება გაზრდილი და სავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მოპოვება/შენარჩუნებისთვის ფირმებს მოუწევთ დააკმაყოფილონ მინიმალური ხარისხობრივი მოთხოვნა, რომელიც ახლანდელი მესამე კატეგორიის ხარისხის შესაბამისია.

აუდიტის ხარისხის უწყვეტი ზრდის ხელშეწყობით, სამსახური უზრუნველყოფს აუდიტის პროფესიის ნდობის ამაღლებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სამსახურის მიერ დაგეგმილი სიახლე, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობასა და ეკონომიკის განვითარებაზე.

აუდიტის პროფესიის ნდობის ამაღლებისა და სფეროს პოპულარიზაციის ხელშეწყობა:

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროფესიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აუდიტორების პროფესიულ განვითარებაში. საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით პროფესიული ორგანიზაციები ხელს უწყობენ ბუღალტრის/აუდიტორის პროფესიის გაძლიერებას, რაც დადებითად აისახება აუდიტის სფეროს ხარისხზე. სამსახური თავის მხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს პროფესიული ორგანიზაციის მდგრად განვითარებას. ამასთან, სამომავლოდ განიხილავს, პროფესიულ ორგანიზაციაზე არასავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მქონე ფირმების ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის უფლების დელეგირებას.
სამსახური, აუდიტის პროფესიის ნდობის ამაღლებისა და სფეროს პოპულარიზაციის მიზნით, თანამშრომლობს განათლების ხარისხის ცენტრთან და უნივერსიტეტებთან საგნების აღიარების, პროფესიული სერტიფიცირების პროცესში ჩათვლების მიღების დასანერგად. სამსახური აქტიურად არის ჩართული განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ საბჭოში, რათა დადგინდეს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებით დარგობრივი მახასიათებლები, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამების აკრედიტაციისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს. შედეგად, დადგენილი მახასიათებლების გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო კურსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს უნივერსიტეტებში გავლილი საგნები ჩაითვალონ პროფესიული სერტიფიცირების მიზნებისთვის. ასევე, იგეგმება საკანონმდებლო ინიციატივა, რათა აუდიტი დაემატოს რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალს, რის შედეგადაც პროფესიული სერტიფიცირების მოქმედი სტანდარტის მოთხოვნები სავალდებულო გახდება უნივერსიტეტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების დაინტერესებას და დასაქმებას აუდიტის სფეროში.

ასევე სამსახური გეგმავს მცირე ზომის აუდიტორული ფირმების და დამწყებ აუდიტორთა პროფესიული განათლების დონის ზრდის ხელშეწყობას დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ შესაბამისი ტრენინგების და სემინარების ჩატარებით.

საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება:

ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნით დაგეგმილია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის რეგულაცია (EU) No 537/2014 -ის (,,საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სავალდებულო აუდიტთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ") საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვა. უკვე დაწყებულია მუშაობა რიგ საკანონმდებლო ცვლილებებზე. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის რეგულაციიდან (EU) No 537/2014 გამომდინარე ცვლილებები შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა აუდიტორული ფირმებისათვის გამჭვირვალობის ანგარიშის წარდგენის სავალდებულოდ შემოღება და ასევე, აუდიტორული ფირმებისათვის ისეთი არააუდიტორული მომსახურებების აკრძალვა, რომლებიც პირდაპირ უქმნის დამოუკიდებლობის საფრთხეებს სდპ-ებისათვის მომსახურების გამწევ პირებს.



ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის მიმართულება

ნათია გლოველი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვანი საზრუნავია მსოფლიოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის. ამდენად, ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და საინტერესო გამოწვევაა ახლად შექმნილი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, გაფართოვდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისთვის სამსახურის მიმართ ანგარიშვალდებულ პირთა წრე, რაც კიდევ უფრო ზრდის სამსახურის როლს ამ მიმართულებით. მიზანშეწონილია, სამსახურის აქტიური ჩართულობით, ჩამოყალიბდეს FATF-ის რეკომენდაციებთან და ევროკავშირის დირექტივებთან თავსებადი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მექანიზმები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საგულისხმოა Moneyval-ის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტიანობისა და FATF-ის რეკომენდაციებთან შესაბამისობის საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დანერგვა. აღსანიშნავია, რომ სამსახურს აქვს პროგრესი ამ მიმართულებით.

რეფორმის ფარგლებში, საინტერესო პროცესია პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრების შექმნა და მართვა. რეესტრები შეიცავს სანდო საინფორმაციო რესურსს, ხოლო მათი შექმნის მიზანია ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების იდენტიფიცირება, რაც ცნობიერების ამაღლებასთან ერთად ხელს უწყობს კანონთან და საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ გვაქვს სარეგისტრაციო პროცესში ანგარიშვალდებულ პირთა ჩართულობის პოზიტიური მოლოდინი.

ჩვენი ხედვით, არსებითად მნიშვნელოვანია რეფორმის მიმდინარე ეტაპზე სამსახურის საზედამხედველო სფეროში ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც მუდმივად იმართება ღონისძიებები, მათ შორის რეგიონებში, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

საინტერესოა აგრეთვე, განგრძობითი განათლების მიღების კუთხით დანერგილი სიახლეები. კერძოდ, სამსახური უზრუნველყოფს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიმწოდებლების აღიარებასა და სასწავლო კურსის/ტრენინგის პროგრამის შეთანხმებას, რაც ჩვენი რწმენით გრძელვადიან პერსპექტივაში განახლებადი ცოდნის საფუძველზე ხელს შეუწყობს ამ სფეროში შესაბამისობის კულტურის დონის ზრდას.

2024 წელი საკმაოდ აქტიურად დაიწყო და ვფიქრობთ საინტერესო სიახლეების შეთავაზებას შევძლებთ დაინტერესებული პირებისთვის. მინდა მადლობა გადავუხადო რეფორმაში ჩართული პირებს და რაღა თქმა უნდა SARAS-ს გუნდის თითოეულ წევრს დაუღალავი შრომისთვის.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობა

2023 წლის თებერვლიდან SARAS -ში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი შეიქმნა. დეპარტამენტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ამოცანების შესრულებას და შექმნას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეფექტიანი სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება FATF-ის რეკომენდაციებთან და ევროკავშირის დირექტივებთან. აღნიშნული ცვლილება, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის განვითარებისა და ევროინტეგრაციის მიმართულებით.

დაინტერესებულ მხარეებთან ორმხრივი კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, სამსახურის ვებგვერდზე შეიქმნა AML/CFT ზედამხედველობის ჩანართი, სადაც განთავსებულია მუდმივად განახლებადი სასარგებლო ინფორმაცია ანგარიშვალდებული პირებისთვის. სამსახურის ვებგვერდს აღნიშნული მიმართულებით საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის დამოუკიდებელი ცხელი ხაზის ნომერი დაემატა, ასევე კორესპონდენციის გამარტივების მიზნით, სამსახურთან საკომუნიკაციო წერილების ელექტრონულ სისტემაში დაემატა ჩანართი „ფულის გათეთრების მიმართულება“.

მნიშვნელოვანი მიღწევები:

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრები

2023 წლის მაისის თვეში შეიქმნა და სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრები, რომელთა მართვას უზრუნველყოფს SARAS-ი. რეესტრები შეიცავს სანდო საინფორმაციო რესურსს, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია იმ ფიზიკური და იურიდიული პირის შესახებ, რომელიც მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას. რეესტრების მეშვეობით, დაინტერესებული მხარეები პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ.

რეესტრების შექმნის მიზანია ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების იდენტიფიცირება და აღრიცხვა, რაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, აღნიშნული პირების ცნობიერების ამაღლებასა და მათ მიერ კანონთან და საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისობას, ხოლო მეორე მხრივ სამსახურის გამართულ, რისკზე დაფუძნებულ ზედამხედველობას ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმებით. ამასთან, რეესტრების შექმნა ემსახურება Moneyval-ის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრას და FATF-ის რეკომენდაციებთან შესაბამისობას.

2023 წლის ბოლოს პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია გაიარა 450-ზე მეტმა პირმა. რეგისტრაციის პროცესი მუდმივ ხასიათს ატარებს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში დამტკიცდა

ანგარიშის მიზანია კომპეტენტური ორგანოების და კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება, საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე.

საქართველომ, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება აიღო, რომელიც მოიცავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენის და აღკვეთის სფეროს. ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო არქიტექტურის პასუხისმგებლიანი ნაწილია.

შესაბამისად, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის არსებობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და ღირებულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

სამართლებრივი აქტები

სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის მიზნით და ანგარიშვალდებულ პირთა სრულყოფილი ზედამხედველობისათვის, სამსახურის სამართლებრივი აქტები შევიდა ძალაში, რომლებიც არეგულირებს პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესს[1], ანგარიშვალდებულ პირთა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობით განათლებას[2], ასევე ფარავს ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლასა და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის საკითხებს[3].

მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

Moneyval-ის 66-ე პლენარული სხდომა

სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მუშაობდა Moneyval-ის მეხუთე რაუნდის მე-2 გაძლიერებული შეფასების ანგარიშის საბოლოო ფორმით ჩამოყალიბების მიზნებისთვის.

საქართველოს დელეგაცია, მათ შორის, სამსახურის წარმომადგენელი, დაესწრო Moneyval-ის 66-ე პლენარული სხდომას სტრასბურგში.

სამსახურის მიერ ონლაინ პლატფორმებისა თუ ფიზიკური შეხვედრების გზით, მათ შორის რეგიონებში, ჩატარებულია არაერთი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება AML/CFT თაობაზე[4]. შეხვედრებს საერთო ჯამში დაესწრო 1500-ზე მეტი დაინტერესებული პირი.

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5795180?publication=0
[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5901097?publication=0
[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5960804?publication=0
[4] სულ ჩატარებულ იქნა 12 შეხვედრა

მნიშვნელოვანი პროექტები

ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (PAR)

პროექტის ფარგლებში შეიქმნა და სამსახურის ვებგვერდზე საჯაროდ განთავსდა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო იმის გათვალისწინებით, რომ, ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირთა სპეციფიკაზე მორგებული მსგავსი სახის დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არსებობდა.

ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების შესაბამისი თანამშრომლებისთვის, მსგავსი ტრენინგი ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირებს პირველად ჩაუტარდათ.

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II“

პროექტის ფარგლებში სამსახურს ექსპერტული მხარდაჭერა გაეწია. დამუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგიების პროექტები, რაც სამსახურს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს AML/CFT მიმართულებით საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებაში.

თანამშრომლობა

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სსიპ ,,საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან“, საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით შესაბამისი რეკომენდაციების მიღების მიზნით.

სამსახური თანამშრომლობს აგრეთვე, სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან და სსიპ შემოსავლების სამსახურთან, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების რეესტრების შექმნისა და ადმინისტრირების პროცესის მიზნებისთვის.

სამომავლო მიზნები

სამსახურის მიერ მუშავდება აქტები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება FATF-ის შესაბამის რეკომენდაციებთან და დაფარავს პრევენციული ღონისძიებების, რისკების შეფასებისა და მართვის, შესაბამისობის კონტროლის სისტემის, საზედამხედველო ორგანოს მიმართ ანგარიშვალდებულების, ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრის, შემოწმების და აღსრულების, სანქციების განსაზღვრის საკითხებს.

,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე დაიწყება ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულების დისტანციური ან/და ადგილზე შემოწმება, შემუშავდება ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესი", უზრუნველყოფილი იქნება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობა.

სამსახურის აპარატი

ჩვენი რესურსები

33 თანამშრომელი

4 პრაქტიკანტი



საზოგადოებასთან ურთიერთობა

- დისტანციური მომსახურება მიმდინარეობდა ცხელი ხაზისა და მეილების საშუალებით.
- SARAS.GOV.GE-სა REPORTAL.GE-ზე განთავსდა სფეროში მიმდინარე სიახლეები.
- ჩაიწერა სასწავლო-საინფორმაციო სახის ვიდეოინსტრუქციები.

SARAS.GOV.GE
61,000 უნიკალური ვიზიტორი
417,000 წლიური ნახვა

REPORTAL.GE
59,000 უნიკალური ვიზიტორი
824,000 წლიური ნახვა

2023 წელს შემოსული მეილები:

ანგარიშგების კუთხით სულ შემოვიდა - 3119 მეილი

აუდიტის კუთხით - 1005 მეილი

სხვა მიმართულება - 4

2023 წელს ცხელ ხაზზე შემოსული ზარები:

ანგარიშგების კუთხით შემოვიდა - 5193 კითხვა

აუდიტის კუთხით - 818

პროფესიული - 17

სხვა - 10

Facebook
9,200 გამომწერი
516 ახალი გამომწერი

LinkedIn
1,654 გამომწერი
189 ახალი გამომწერი

YouTube
1,444 გამომწერი
44 ახალი გამომწერი
ვიდეო ინსტრუქციები
საინფორმაციო ვიდეოები
ვებინარების ჩანაწერები

სამსახურის სტრუქტურა

საბჭო

საბჭო



მირზა გელაშვილი
საბჭოს თავმჯდომარე

3/2023 — დღემდე

საბჭოს წევრები:

ნინო ენუქიძე

10/2021 — დღემდე

ლევან საბაური

10/2021 — დღემდე
II ვადით

ეკატერინე მიქაბაძე

2/2022 — დღემდე

იური დოლიძე

10/2021 — დღემდე

გიორგი თაბუაშვილი

3/2023 — 9/2023

ზურაბ მამუკელაშვილი

7/2021 — დღემდე

საბჭოს მოწვეული პირები:

პანაიოტის იანოპულოსი

03/2021 — დღემდე

ანდრია მანელაშვილი

2/2018 — დღემდე

სალომე სხირტლაძე

11/2023-მდე

საჩივრების სტატისტიკა

სულ შემოვიდა 34 საჩივარი



სულ იმსჯელა 31 საჩივარსა და 1 განცხადებაზე

2022 წელს რეგისტრირებული 6 საჩივარი

2023 წელს რეგისტრირებული 25 საჩივარი



- აუდიტის მიმართულებით
- ანგარიშგების მიმართულებით

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

ნდობა ქმნის შესაძლებლობებს!

SARAS.GOV.GE

REPORTAL.GE

SARAS GEORGIA

@SARASGEORGIA

SARAS GEORGIA

+(995 32) 2 262 226

ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის N1